

## საქართველოს მევენახეობა-მერღვინეობის კარტოგრაფიული ასპექტები

*მანანა შარაშენიძე, თენგიზ გორდეზიანი*

ელ-ფოსტა: [manana.sharashenidze@tsu.ge](mailto:manana.sharashenidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

კვლევის ძირითად შედეგს წარმოადგენს კახეთის რეგიონში ვენახები გავრცელების შეფასებითი რუკა. ეს კარტოგრაფიული ნაწარმოები წარმოადგენს *კარტოდაგრამის ტიპის რუკას*, სადაც საფუძვლად გამოყენებულია ადმინისტრაციული ზადე მუნიციპალიტეტების დონეზე. რუკაზე მუნიციპალური ცენტრის აღმნიშვნელ პუნსონთან მიმაგრებულია ორ-სკალიანი სვეტოვანი დიაგრამა, რომლის აბსცისთა ღერძის ზედა სკალაზე დატანილია ის პარამეტრები და ფაქტორები, რომლების განსაზღვრავენ კონკრეტული ტერიტორიის ვარგისიანობის ხარისხს ვაზის კულტურის გაშენებისათვის. სვეტოვანი დიაგრამის ამ ნაწილის საშუალებით დგინდება ტერიტორიის პოტენციალური ვარგისიანობა მევენახეობის განვითარებისათვის, განსაზღვრული, ერთის მხრივ სავეგეტაციო პერიოდის (მარტი-ოქტომბერი) საშუალო დადებითი ტემპერატურებით და მეორეს მხრივ, დადებითი აბსოლუტური ტემპერატურებით. სვეტოვანი დიაგრამის აბსცისთა ღერძის ქვედა სკალით დგინდება ტერიტორიის პოტენციალური ვარგისიანობა მევენახეობისათვის, განსაზღვრული, ერთის მხრივ სავეგეტაციო პერიოდის (მარტი-ოქტომბერი) საშუალო უარყოფითი ტემპერატურებით და მეორეს მხრივ, უარყოფითი აბსოლუტური ტემპერატურებით. ფერადი ფინის ხერხით რუკაზე ასახულია კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მევენახეობის შეფასება ვაზის კულტურის პერსპექტიული გავრცელების არელების დადგენის მიზნით. რუკის შინაარსის ეს ნაწილი ასახულია 3-ბალიანი სკალით.

კახეთის რეგიონის მევენახეობის ზონის შეფასებითი რუკის სივრცულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა რეგიონის ტერიტორიების კლასიფიცირება მევენახეობის განვითარების რეპრეზენტაციულობის მიხედვით: 1) გურჯაანის, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები - 3 ბალი. ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები: აღმოსავლური და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციების დომინირებით; ყავისფერი ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 800-1000 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 7°-9°; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 17°-19°. 2) ახმეტის, სიღნაღის, საგარეჯოს და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები - 2 ბალი. ფაქტორები: სამხრეთ-დასავლური და დასავლური ექსპოზიციების დომინირებით; ალუვიური მჟავე ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 600-800 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 6°-7°; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 16°-17°. 3) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - 1 ბალი. ფაქტორები: ჩრდილო-დასავლური და ჩრდილოეთის ექსპოზიციების დომინირებით; ბიცობი ხირხატის ტიპის ნიადაგებით; ნალექების წლიური ჯამით 400-600 მმ.; აბსოლუტური უარყოფითი ტემპერატურებით 4°-6°; აბსოლუტური დადებითი ტემპერატურებით 15°-16°.